ხათუნა ლაგაზიძე

სახელმწიფო მართვის თეორიის საკითხები

შესავალი

თანამედროვე ეპოქაში "მართვის" ბევრი განმარტება არსებობს. ვ. დალის განმარტებით ლექსიკონში ტერმინი მართვა" ნიშნავს მისცე მიმართულება, განკარგო, უხელმძღვანელო. ვ. ი. კნო-რინგი მიიჩნევს, რომ მართვა, ფართო გაგებით, არის მართვის ობიექტზე (პიროვნებაზე, კოლექტივზე, პროცესზე, ორგანი-ზაციაზე, სახელმწიფოზე) გავლენის უწყვეტი პროცესი დროისა და რესურსების უმცირესი დანახარჯებით ოპტიმალური შედე-გების მისაღწევად. სხვა მოსაზრებით, მართვა პროფესიული მოღვაწეობის განსაკუთრებული სახეა, რომელიც არ დაიყვა-ნება მხოლოდ მოცემული სისტემის, ორგანიზაციის მიზნის მიღწევამდე, არამედ წარმოადგენს ნებისმიერი რთული სოციალური სისტემის მთლიანობის, მისი ოპტიმალური ფუნქციონირების განმსაზღვრელ საშუალებას.

მართვის ძირითადი ცნებაა _ ზემოქმედება. სახელმწიფო მართვის პროცესში ძირითადი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ზუსტად და სრულად აისახება მართვის პროცესში მთელი საზოგადოების, მისი ცალკეული ჯგუფებისა და ინდივიდების ძირეული მოთხოვნილებები (საჭიროებები) და ინტერესები.

ტერმინი "მართვა" გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით:

- მართვა, როგორც მეცნიერება;
- მართვა, როგორც ხელოვნება (კლაუზევიცი მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის განსხვავებას შემდეგში ხედავდა: მეცნიერების საფუძველია - ცოდნა, ხელოვნებისა - უნარი)
- მართვა, როგორც პროცესი - ანუ ციკლური მოქმედებების ერთიანობა, რაც დაკავშირებულია პრობლემის გამოვლე-ნასთან, მისი გადაწყვეტის ვარიანტების ძებნასა და მიღე-ბული გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზაციასთან;
- მართვა, როგორც აპარატი ანუ სტრუქტურებისა და ადამი-ანების ერთიანობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალური სისტემების ყველა რესურსის გამოყენებასა და კოორდინაციას მათი მიზნების მისაღწევად.

შრომის სხვა სახეობებთან შედარებით, მართვას, როგორც პროფესიას, რიგი სპეციფიური თავისებურებები ახასიათებს:

- ის გონებრივი შრომაა, რომელიც სამი სახის მოღვაწეობას მოიცავს: ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული და აღმზრდელობითი; ანალიტიკური და კონსტრუქციული; ინფორმა-ციულ-ტექნიკური;
- მატერიალური ფასეულობების შექმნასა და მომსახურების გაწევას ახდენს გაშუალებულად, სხვა მოსამსახურეთა შრომის გამოყენებით;
- შრომის საგანია ინფორმაცია;
- შრომის შედეგი - მმართველობითი გადაწყვეტილება.